განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
06.08.-28.09.
202 1წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
29 სექტემბერი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა Public Health and Health Policy
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი Master of Public Health
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული Health, not elsewhere classified
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ლობჯანიძე - შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ნოღაიდელი - ჯეო ჰოსპიტალის სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ - ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე - შპს ნიუ ვიჟენის მედიცინის პროგრამის დოქტორანტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა ახალი სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა - საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა, რომელიც განხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე, მედიცინის სკოლის ბაზაზე. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს და აქვს მიღების მრავალფეროვანი წინაპირობები. წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია ASPHER's European List of Core Competences for the Public Health Professional-ის /2018 წლის გამოცემა/ და უცხოური ანალოგების გათვალისწინებით, შედგება სავალდებულო (108 ECTS) და არჩევითი (12 ECTS) სასწავლო კურსებისგან, სულ 120 ECTS. უპირატესად ეფუძნება კვლევით კომპონენტებს, რომელიც მოწოდებულია როგორც სამაგისტრო ნაშრომის, ასევე პრაქტიკაში სწავლებისას, ხოლო სასწავლო საგნებში წარმოდგენილია კვლევითი მეთოდების შესწავლის, კრიტიკული აზროვნებისა და კვლევებისთვის აუცილებელი ცოდნისა თუ უნარების განვითარებისათვის საჭირო აქტივობების სახით გამოყენებითი ეპიდემიოლოგიის, ბიოსტატისტიკის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და პოლიტიკის, გარემოს ჯანმრთელობის, გლობალური ჯანმრთელობის, ქცევების მართვის და სხვა აუცილებელი სასწავლო კურსები. პროგრამის მიზნების მიღწევადობას განპირობებს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლების შედეგები, შესაბამისი აკადემიური, კვლევითი და მატერიალური რესურსი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 9 21 0000714810, 16/07/2021) საფუძველზე 2021 წლის 6 აგვისტოს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე, შედგა ექსპერტთა ჯგუფის (თამარ ლობჯანიძე (თავმჯდომარე), ირინე ფხაკაძე (წევრი), ნინო ქიმერიძე (წევრი), ნათია ნოღაიდელი (წევრი), ელენე ხურციძე (წევრი) დისტანციური ფორმატის ვიზიტი. დღის წესრიგით განსაზღვრული შეხვედრები განხორციელდა სრულად (შეხვედრების სესიები- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, ფაკულტეტთან- პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.გადახედილ იქნა მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომები, online განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება). სესიის ყველა მონაწილეს მიეცა საშუალება გამოეთქვა თავისი აზრი, დაესვა კითხვა და გაეცა პასუხი. ვიზიტი შედგა კოლეგიალურ და სასიამოვნო, საქმიან ატმოსფეროში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა 5 სტანდატრის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. შემაჯამებელი შეფასებით:

  სტანდარტი 1 : საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - **სრულად შესაბამისი**
  (სრული შესაბამისობა დადგინდა 1.1, 1.2 ქვესტანდარტებში)
  სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - **მეტწილად შესაბამისი**
  (დადგინდა მეტწილი შესაბამისობა ქვესტანდარტებში - 2.2, 2.4, 2.5, 2.6 ხოლო სრული შესაბამისობა დადგინდა ქვესტანდარტში 2.1 , 2.3)

  სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **სრულად შესაბამისობა** (სრული შესაბამისობა დადგინდა 3.1, 3.2 ქვესტანდარტებში)

  სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **სრული შესაბამისობა**
  (სრული შესაბამისობა დადგინდა 4.1, 4.2 , 4.3, 4.4 ქვესტანდარტებში)

  სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **სრული შესაბამისობა** (სრული შესაბამისობა დადგინდა 5.1, 5.2 , 5.3, ქვესტანდარტებში)

- **რეკომენდაციები**

  1. რეკომენდაცია /2.2/

     ა) პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულ იქნეს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე;

ბ) გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო გამოცდილება და არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტებისთვის მოთხოვნილი იქნეს კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ცოდნის დადასტურება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებით, განსაზღვრული მოცულობით (კრედიტები) დასრულებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შინაარსის კურსები, ასევე დარგობრვი უნარების დადასტურება სამუშაო გამოცდილების, ან კვლევითი საქმიანობის ან სხვა სახით.

2. /2.4/ რეკომედირებულია სასწავლო /კვლევით ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სათანადო ფორმით იყოს წარმოდგენილი სავარაუდო ინფორმაცია კონკრეტულ პერიოდზე კვლევითი თუ პრაქტიკული კურსების/მიზნების და სტუდენტების/მკვლევარების რაოდენობის შესახებ.

3. /2.5./ რეკომენდირებულია სილაბუსებში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის PBL დაზუსტება და გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისგან. ამასთანავე, სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები, სრულად აისახოს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.

4. /2.6. / ა) რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დოკუმენტაციის დაკორექტირება იმგვარად, რომ ცალსახად ითვალისწინებდეს აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასებას ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით.

   /2.6./ ბ)რეკომენდებულია ორ კომპონენტიანი დასკვნითი გამოცდის დროს მიეთითოს თითოეული კომპონენტის გადალახვის მინიმალური ბარიერი, შეფასებებში მოხდეს მაქსიმალური ქულების დიფერენციაცია სათანადო კრიტერიუმების მიხედვით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. /1.1./ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა სექტორებისა და დამსაქმებლების ჩართვა/გაფართოება რათა მოხდეს კონკრეტული ცოდნისა და უნარების საჭიროებების შეფასება მუდმივად ცვალებად გარემოში როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე.

2. /1.2./ ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით პროგრამის შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება.
3. /2.1. / სასურველია გაფართოებულ იქნეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების არე ჯანდაცვითი მიმართულების კვალიფიკაციების მქონე კურსდამთვარებულებისათვის (მაგალითად, დიპლომირებული სტომატოლოგი, ფარმაცის ბაკალავრი, საექთნო საქმის ბაკალავრი)
4. /2.3./ სასურველია თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები (3 კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობისობასთან მიმართებაში;

5. /2.6. / სასურველია ცხადად წარმოდგეს/დაზუსტდეს შეფასების მრავალშეფასებიან რუბრიკებში კრიტერიუმები, რათა ნათელი გახდეს მაგისტრისთვის ქულების დაგროვების მექანიზმი;

6. /4.2/ აკად. პერსონალის მიზნობრივი გადამზადება უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიაში

7. /4.4/ დამატებითი შემოსავლების წყაროების გათვალისწინება პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯის ნაწილში

8. /5.1/ სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), რათა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებლებისთვის ცნობილი გახდეს მისი თანხვედრა და აქტუალობა დარგის თანამედროვე სტანდარტებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  სტუდენტების შესაძლებლობა ჩაერთონ პარტნიორი ორგანიზაციის (მათ შორის, პრაქტიკის გავლის ადგილის) კვლევით საქმიანობაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე

1. რეკომენდაცია - / 2.2 / დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის შემდეგ, მოხდა რეკომენდაციის გადახედვა და ფორმულირების ცვლილება. კერძოდ:

რეკომენდაცია 1. /2.2/ ა) პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულ იქნეს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე;

ბ) გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო გამოცდილება და არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტებისთვის მოთხოვნილი იქნეს კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ცოდნის დადასტურება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებით, განსაზღვრული მოცულობით (კრედიტები) დასრულებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შინაარსის კურსები, ასევე დარგობრვი უნარების დადასტურება სამუშაო გამოცდილების, ან კვლევითი საქმიანობის ან სხვა სახით.

მტკიცებულება: ჯანდაცვითი მიმართულების ქვეშ არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამები, მოიაზრებს რა სამედიცინო/ჯანდაცვითი პრაქტიკის ინტეგრირებას საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში, წინაპირობად მოითხოვენ: ან წინა საფეხურის მქონე განათლების კვალიფიკაციას ჯანდაცვითი მიმართულებით სხვა დამატებით

პირობებთან ერთად, ან რიგი სამაგისტრო პროგრამა უშვებს არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებს კონკრეტული პირობების მოთხოვნით (მაგალითად, სწავლების წინა საფეხურზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვისთვის რელევანტური საგნებით დაგროვილ კრედიტებს /ნორვეგიის არქტიკის/ტრომსოს უნივერსიტეტი 80 ECTS და სხვა), დარგობრივი მიმართულებით რიგ შემთხვევაში კვლევითი საქმიანობის, ასევე ჯანდაცვაში პროფილური დასაქმების არსებობას მინიმალური წლების მითითებით და სხვა. უნიფიცირებული წინაპირობები არ არსებობს, არსებობს კონკრეტული პროგრამის დაძლევასთან მისადაგებული მოთხოვნები. წარმოდგენილ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაში ცხადად არ ჩანს მიღების მოთხოვნის დეტალური ინდიკატორები/კრიტერიუმები, რომელიც გამჭირვალეა კონკურსანტების შეფასებასთან დაკავშირებით. მაგალითად „აკადემიური და/ან პროფესიული მიღწევები“- კონკრეტულად რა მოითხოვება ამ წინაპირობაში და როგორ იზომება, ასევე არ ჩანს საზოგადოებრივი ჯანდაცვითი კომპეტენციების სფეროების მიხედვით რომელი ძირითადი მიმართულებების ცოდნა იქნება მოთხოვნილი არსებულ პროგრამაზე შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებით, ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობა წარმოადგენს ინტერსექტორული დარგს, შესაბამისად მნიშვნელოვანია პროგრამის წიანპირობებში არსეობობდეს განსაზღვრული ორიენტირები დარგობრივ ცოდნასთან მიმართებაში.

2. რეკომენდაცია - /2.4/ რეკომედირებულია სასწავლო /კვლევით ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სათანადო ფორმით იყოს წარმოდგენილი სავარაუდო ინფორმაცია კონკრეტულ პერიოდზე კვლევითი თუ პრაქტიკული კურსების/მიზნების და სტუდენტების/მკვლევარების რაოდენობის შესახებ.

მტკიცებულება: ცენტრის მიერ განსაზღვრული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, „...ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას“ გასათვალისწინებელია, რომ პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის მიუხედავად, ამ დაწესებულებათა უმრავლესობა თანამშრომლობს არა ერთ უმაღლეს სასწავლებელთან როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის (მაგალითად, დკსჯეც-ი წარმოადგენს თსუ-ის, თსსუ-ის, ილიას და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო ბაზას), ასევე, დიპლომირებული მედიკოსის და სარეზიდენტო პროგრამების განხორციელების მიმართულებით, რაც, დაწესებულებათა შეზღუდული რესურსიდან გამომდინარე პრაქტიკის სათანადო პირობებში წარმართვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანს ხდის მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენას. მემორანდუმების უმრავლესობაში თანამშრომლობის მიზანი (მაგალითად, დკსჯეც-თან, ფონდ კურაციოსთან, ნეოლაბთან და სხვა გაფორმებული მემორანდუმი) ზოგადია. ხელშეკრულებებში ან მემორანდუმებში, თუ მის საფუძველზე არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით კონკრეტიზაცია აუცილებელია.

3. რეკომენდაცია /2.5./ რეკომენდირებულია სილაბუსებში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის PBL დაზუსტება და გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული

სწავლების მეთოდისგან. ამასთანავე, სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები, სრულად აისახოს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.- დაზუსტდა რეკომენდაციის ტექსტი.

მტკიცებულება: სილაბუსებში (გამოყენებითი ეპიდემიოლოგია, გლობალური ჯანმრთელობა, ლიდერობა და კომუნიკაცია და სხვა) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი წარმოდგენილია შემთხვევის გარჩევის კონტექსტში, რაზეც შეფასების სისტემა და მისი ორგანიზების ფორმატიც მიანიშნებს. ამავე დროს, აღნიშნული კურსების განმახორციელებელი პირების დოკუმენტაციის (CV) ანალიზი არ მიუთითებს PBL მეთოდის ასათვისებლად პერსონალის გადამზადებას უნივერსიტეტის არსებულ განვითარების ცენტრში ან ალტერნატიულ გადამზადების ტრენინგ-პროგრამებზე. პროგრამაში გამოყენებული მეთოდების ჩამონათვალი არასრულია სილაბუსებში გამოყენებულ მეთოდებთან მიმართებაში და მოითხოვს დაკორექტირებას.

4. რეკომენდაცია /2.6. /

ა) რეკომენდირებულია სილაბუსებში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის PBL დაზუსტება და გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისგან. ამასთანავე, სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები, სრულად აისახოს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.

მტკიცებულება: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება არ ხდება ერთჯერადად, კერძოდ: სამაგისტრო ნაშრომის შუალედური შეფასებები სრულდება ნაშრომის შესრულების პერიოდში და მოიცავს პირველ ეტაპზე ხელმძღვანელის შეფასებას სემესტრის სალექციო-სასემინარო პერიოდის დასრულებამდე ორი კვირით ადრე, რომელიც ემყარება სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში წარდგენილ პროგრესის ანგარიშს და ფასდება 20 ქულით, მომდევნო ეტაპზე - ნაშრომის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში სრულდება რეცენზენტის შეფასება - 50 ქულით და საბოლოო ეტაპზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, როდესაც დაცვის კომისია აფასებს წარდგენილ ნაშრომსა და პრეზენტაციას - 30 ქულით, უკანასკნელში ხელმძღვანელი და რეცენზენტი არ იღებენ მონაწილეობას.

შესაბამისად, დაცული არაა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება), რომლის თანახმად, აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შეფასდეს ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით!

ბ) რეკომენდებულია ორ კომპონენტიანი დასკვნითი გამოცდის დროს მიეთითოს თითოეული კომპონენტის გადალახვის მინიმალური ბარიერი, შეფასებებში მოხდეს მაქსიმალური ქულების დიფერენციაცია სათანადო კრიტერიუმების მიხედვით.

მტკიცებულება - მაგალითად, საგანში ,,ჯანმრთელობის სისტემები და პოლიტიკა“ დასკვნითი შეფასება არის ორ კომპონენტიანი: „ პროექტის წერა და პრეზენტაცია“, სულ 30 ქულა, სადაც 20 ქულა ენიჭება პროექტს, 10 ქულა პრეზენტაციას, დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი 15 ქულა. თუ მაგისტრანტმა პროექტის შეფასებაში გადალახა 15 ქულა, მოწოდებული შეფასების სისტემით მას დასკვნითი შეფასების მინიმალური ბარიერი დაძლეული აქვს, მაშინ როდესაც პრეზენტაცია შეიძლება საერთოდ არ წარმოადგინოს, ან მინიმალური შეფასება მიიღოს. აღნიშნული არ იძლევა საშუალებას გაიზომოს სილაბუსის თანახმად სწავლის

შედეგებში განსაზღვრული ტრანსფერული უნარი: კომპაქტურად გადმოსცეს ჩატარებული ანალიზის შედეგები, ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს დასკვნები და წარმოადგინოს აუდიტორიის წინაშე“ - მიღწევადობა. ამდენად, მნიშვნლოვანია მრავალკომპონენტიან დასკვნით გამოცდაში განისაზღვროს თითოეული კომპონენტის დაძლევის მინიმალური ზღვარი სწავლის შედეგების მიღწევადობა / გაზომვასთან დაკავშირებით.

რჩევები

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა დატოვა რჩევები უცვლელად.

1. /1.1./ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა სექტორებისა და დამსაქმებლების ჩართვა/გაფართოება რათა მოხდეს კონკრეტული ცოდნისა და უნარების საჭიროებების შეფასება მუდმივად ცვალებად გარემოში როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე.

   მტკიცებულება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერსექტორული ხასიათიდან გამომდინარე, დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის გაფართოება (მაგალითად აღმასრულებელი და საკნონმდებლო სფეროებიდან, საერთაშორისო სივრცეებიდან წარმომადგენელების ჩართულობა და სხვა) სწავლის შედეგების გაუმჯობესების, პროგრამის განვითარების მეტ შესაძლებლობებს იძლევა ბაზარზე აღნიშნული საგანამანათლებლო პროდუქტის მოთხოვნადობის თვალსაზრისით

2. /1.2./ ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით პროგრამის შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება.

   მტკიცებულება ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ბლუმის ტაქსონომიის უკეთ გამოყენების შემთვხვევაში პროგრამის სწავლის შედეგები მეტად წარმოჩენილი და გასაგები იქნება დამსაქმებლებისა და დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნულზე მიანიშნებს პროგრამის საერთაშორისო ექსპერტიც სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ბლუმის მოდიფიცირებული ტაქსონომიის უფრო ფართოდ გამოყენების შესახებ, რაც იძლევა საშუალებას პროგრამა ორიენტირებული იყოს არა მხოლოდ ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე, არამედ კურსდამთავრებულის დასაქმების კონტექსტში ეფექტურად წარმოჩენის.

3. /2.1. / სასურველია გაფართოებულ იქნეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების არე ჯანდაცვითი მიმართულების კვალიფიკაციების მქონე კურსდამთვარებულებისათვის (მაგალითად, დიპლომირებული სტომატოლოგი, ფარმაცის ბაკალავრი, საექთნო საქმის ბაკალავრი)

   - გაზიარიებულია დაწესებულების მიერ.

4 /2.3./ სასურველია თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები (3 კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)) „ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობისობასთან მიმართებაში;

მტკიცებულება . კომპონენტებად წარმოდგენა იძლევა საშუალებას, ყურადღება გამახვილდეს სწავლის შედეგების თითოეულ კომპონენეტზე და არ მოხდეს ტექნიკური ჩარღვევა. მაგალითად, საგნებში „გლობალური ჯანდაცვა“ , „მოსახლეობის ჯანმრთელობა და მასზე გარემოს მატერიალური - ფიზიკური, რადიოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური - ზემოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები“ გამოკვეთილად არ ჩანს ცოდნის ელემენტები და აქცენტირებულია დანარჩენ უნარებზე, მაშინ როდესაც ცოდნა საგნების მიზნებში ცალსახად მოცემულია.

5. /2.6. / სასურველია ცხადად წარმოდგეს/დაზუსტდეს შეფასების მრავალშეფასებიან რუბრიკებში კრიტერიუმები, რათა ნათელი გახდეს მაგისტრისთვის ქულების დაგროვების მექანიზმი;

მტკიცებულება რიგ საგნებში მაგ. ,,ადამიანური რესურსები ჯანდაცვაში” შეფასებებში განსაზღვრულია მაქსიმალური ქულები, მაგრამ არაა დიფერენცირებული. მოწოდებულია შეფასებით ქულათა ინტერვალები, რაც ასევე არ არის რუბრიკების მიხედვით განსაზღვრული როდის, რა ქულის მინიჭება ხდება (ანალოგიურია პარტნიორობა, თანამშრომლობა და ადვოკატირება, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები და სხვა).

6. /4.2/ აკად. პერსონალის მიზნობრივი გადამზადება უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიაში

მტკიცებულება ექსპერტთა ვიზიტის დროს აღინიშნა პერსონალის მიერ სილაბუსებში გამოყენებული რიგი სწავლების მეთოდების ნაკლებად ფლობა. შესაბამისად, სასურველია აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების რეგულარულად გადამზადება „სამედიცინო და განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში“

7. /4.4/ დამატებითი შემოსავლების წყაროების გათვალისწინება პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯის ნაწილში

მტკიცებულება: პროგრამა ორიენტირებულია კვლევებზე, აქვს ხედვა რომ შესაძლებელია კვლევები ჩატარდეს არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, ბიუჯეტი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას ობიექტრუად შეფასდეს თუ რა ხარჯები გაიწევა კვლევებზე ორიენტირებულ პრაქტიკებსა და სამაგისტრო ნაშრომებისთვის, უფრო მეტიც, ზოგადად პროგრამის განვითარებისთვის . განსაზღვროს, რა პოტენციალი აქვს დამატებითი წყაროების მიხედვით და რისი შეთავაზება შეუძლია დროის გარკვეულ პერიოდზე სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებებისთვის, მიღწეული შედეგების საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე წარმოჩენისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობისა და განვითარების შეფასებას.

8 /5.1/ სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), რათა საგანმანათლებლო პროგრამის

განვითარების შემდგომ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებლებისთვის ცნობილი გახდეს მისი თანხვედრა და აქტუალობა დარგის თანამედროვე სტანდარტებთან.

მტკიცებულება საგანმანათლებლო პროდუქტი, თავისი ბუნებით ინერციულია. სწრაფად ცვალებად გარემოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაც მოითხოვს სწრაფ განვითარებას განათლების უახლესი, თანამედროვე მოთხოვნებზე რეაგირებით, შესაბამისად, ე.წ. ბენჩმარკის ანალიზი ხელს უწყობს სტანდარტებთან მიმართებაში ეფექტურად განავითაროს პროგრამა, შესაბამისად, შექმნას მაღალი დონის საგანმანათლებლო პროდუქტი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა“ მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ამავდროულად, რეალურად მიღწევადია. პროგრამის მიზანი - „მოამზადოს დარგის სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილები იქნებიან ცალკეული ინდივიდების, ჯგუფებისა და პოპულაციების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის საჭირო, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნითა და უნარ-ჩვევებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და პოლიტიკის დარგში, და შეძლებენ წამყვანი პოზიციების დაკავებას საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებში, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე“ . მკაფიოდ განსაზღვრავს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ, რაც ზრდის ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობას. პროგრამის მიზნები შეესაბამება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას.პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც მოწმობს პოტენციურ დამსაქმებლებთან და მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფი. თუმცა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის (როგორც დარგის) მულტისექტორული ხასიათის, ასევე, სამაგისტრო პროგრამის სახელწოდებისა და შინაარსიიდან გამომდინარე (მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ორიენტირებულია უცხოელი სტუდენტების მომზადებისაკენ), მართებულია, ფოკუს-ჯგუფში ჩართული ყოფილიყო სხვა ორგანიზაციებიც (მ.შ., სახელმწიფო, საჯარო), რომლებიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ქმნიან და განსაზღვრავენ პოლიტიკას, ან/და კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებელია, მით უფრო, რომ „პროგრამის ბაზარზე მოთხოვნადობის ანალიზის“ თანახმად, ჯანდაცვის სფეროს მომსახურების მენეჯერებს პროფესიულ კომპეტენციებში ერთ-ერთი დაბალი ქულა აქვთ. შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერსექტორული ხასიათიდან გამომდინარე,

დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის გაფართოება (მაგალითად აღმასრულებელი და საკნონმდებლო სფეროებიდან, საერთაშორისო სივრცეებიდან წარმომადგენელების ჩართულობა და სხვა) სწავლის შედეგების გაუმჯობესების, პროგრამის განვითარების მეტ შესაძლებლობებს იძლევა ბაზარზე აღნიშნული საგანამანათლებლო პროდუქტის მოთხოვნადობის თვალსაზრისით ინგლისურენოვანი პროგრამა ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას, რაც, ასევე, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან. აღნიშნულს ხელს შეუწყობს ის გარემოებაც, რომ პროგრამა შემუშავებულია ევროპის რეგიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლების ასოციაციის (Association of Schools of Public Health in the European Region (ASPHER) მიერ აღიარებული მოთხოვნებისა და სტანდარტების, ასევე, საერთაშორისო ანალოგების (ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის, ბლუმბერგის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა და ემორის უნივერსიტეტის როლინსის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა) მიხედვით. პროგრამის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისა და სტუდენტთა მოზიდვის მიზნით ჩატარებულია ელექტრონულ პლატფორმაზე - education.com დაფუძნებული ანალიზი, რომელიც ასახავს საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვის ხედვას. პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდით და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-თ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი www.iliauni.edu.ge; o საგანმანათლებლო პროგრამა; o მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში; o დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში; o პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები; o ASPHER's European List of Core Competences for the Public Health Professional (2018 წელი); o საერთაშორისო ანალოგები; o პროგრამის ბაზარზე მოთხოვნადობის ანალიზი; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის

ფაკულტეტის 2019-2024 წლების სტრატეგია - www.iliauni.edu.ge;

o პროგრამის გარე შეფასება;

o ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა სექტორებისა და დამსაქმებლების ჩართვა/გაფართოება რათა მოხდეს კონკრეტული ცოდნისა და უნარების საჭიროებების შეფასება მუდმივად ცვალებად გარემოში როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 საფეხურის აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მაგისტრატურის სწავლის შედეგების მომზადება განხორციელებულია როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნების, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს მიერ შემუშავებული საბაკალავრო საფეხურის დარგობრივი მახასიათებლის ანალიზის საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან, ამავე დროს ითვალისწინებს ევროპის რეგიონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლების ასოციაციის რეკომენდაციებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალების ძირითად კომპეტენციებთან მიმართებაში (ASPHER's European List of Core Competences for the Public Health Professional (2018)), გაზიარებული აქვს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა (ბლუმბერგის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, ემორის უნივერსიტეტის როლინსის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა), რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულს იმ ცოდნითა და კვლევითი/აკადემიური უნარებით, რომელიც საჭიროა პროგრამის მიზნის მისაღწევად. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ადმინისტრაციის, მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ მიწოდებული რეკომენდაციები. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასებულია უცხოელი კოლეგის მიერ, რომლის აზრით, პროგრამის სწავლის შედეგები ფარავს ცოდნისა და უნარების კარგ დიაპაზონს. თუმცა, მისი რეკომენდაცია სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ბლუმის მოდიფიცირებული ტაქსონომიის უფრო ფართოდ გამოყენების შესახებ, რაც იძლევა საშუალებას პროგრამა ორიენტირებული იყოს არა მხოლოდ ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე, არამედ კურსდამთავრებულს აძლევდეს სხვადასხვა სამუშაო კონტექსტში მათი გამოყენების საშუალებას (მაგალითად, ცოდნის გამოყენება ახალი პროგრამების შემუშავებისა და შეფასებისთვის, ახალი მიდგომების შექმნისთვის), ასევე, არ იქნა გაზიარებული მოსაზრება მე-6 შედეგისათვის კონკრეტული სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის შესახებ, ისევე, როგორც რეკომენდაცია ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგის ახალი კითხვების, ახალი თანამშრომლობის განვითარების, კომპლექსური ურთიერთქმედების მიზნით (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის გარდა, სხვადასხვა სექტორებს აერთიანებს) პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ბლუმის ტაქსონომიის უკეთ გამოყენების შემთვხვევაში პროგრამის სწავლის შედეგებს მეტად წარმოჩენილი და გასაგები იქნება დამსაქმებლებისა და დაინტერესებული პირებისთვის.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების კონსოლიდირებით, რაც ასახულია პროგრამის შედეგების რუკაში. პროგრამა არ მოიცავს ისეთ სასწავლო კურს, რომელიც პროგრამის რომელიმე სწავლის შედეგს არ ავითარებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მოწოდებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. პროგრამის არაპირდაპირი შეფასება მოიცავს, ასევე, პროგრამით/პროგრამის კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვას არგუსის ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმის საშუალებით, თუმცა, მომიჯნავე სფეროს სტუდენტებთან/კუსდამთავრებულებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მათი გამოკითხვაში მონაწილეობა ზოგჯერ ფრაგმენტულია. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომელიც იძლევა სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შედარებისა და შემდგომი ანალიზის შესაძლებლობას. უზრუნველყოფილია პროგრამის ადმინისტრატორის, ხელმძღვანელების და სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის ტრენინგი პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში. ამავდროულად, სწავლის შედეგების ჩამოყალიბება/შეფასების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელებს და სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის კონსულტირებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი (მ.შ., პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები) გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას. პროგრამის სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდითა და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-თ.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ASPHER's European List of Core Competencies for the Public Health Professional (2018)
- საერთაშორისო ანალოგები
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი
- საბჭოს მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებელი საბაკალავრო

საფეხურის o პროგრამისთვის o სწავლის შედეგების რუკა o სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა o დამსაქმებლის ფოკუს-ჯგუფის ანგარიში o პროგრამის გარე შეფასება o სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები o სტუდენტების და კურსდამთავრებულების ფოკუს-ჯგუფის ანგარიშები o საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების o შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები o შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია o პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები o აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო o გეგმა o სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ,,არგუსი“ o http://argus.iliauni.edu.ge; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.iliauni.edu.ge o ვიზიტის შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით პროგრამის შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს: - ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი

კვალიფიკაცია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში; სოციალური მუშაობის და კონსულტაციის სფეროში; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების ან მენეჯმენტის სფეროებში ან დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღება მოხდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. საერთაშორისო აპლიკანტების მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N224/ნ ბრძანების (დეკემბერი 29,2011) შესაბამისად.

აპლიკანტს მოეთხოვება:

● წარმოადგინოს TOEFL (მინ ქულა 75) ან IELTS (მინ. ქულა 6) გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ვალიდური სერთიფიკატი. თუ აპლიკანტს არ აქვს აღნიშნული სერთიფიკატი, მან უნდა ჩააბაროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდა ინგლისურ ენაში.

● წარმოადგინოს GMAT (მინ ქულა 550) ან GRE (მინ ქულა 260+3) გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ვალიდური სერთიფიკატი. თუ აპლიკანტს არ აქვს მსგავსი სერთიფიკატი, მან უნდა ჩააბაროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდა რაოდენობრივ და სიმბოლურ მსჯელობაში. გამოცდა რაოდენობრივ და სიმბოლურ მსჯელობაში აფასებს აპლიკანტის მათემატიკურ უნარებს: ცხრილების, დიაგრამების თუ ფორმულების სახით წარმოდგენილი ინფორმაციის (სიტუაციური ამოცანები, ქეისები) კითხვის, გააზრების, გაგების და ინტერპრეტაციის უნარს.

● წარმოადგინოს ინგლისურ ენაზე შევსებული აპლიკანტის სამოტივაციო განაცხადი;

● წარმოადგინოს პროფესიული ავტობიოგრაფია (CV), რომელშიც სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებული იქნება განათლების წინა საფეხურზე მიღებული GPA ან საშუალო სარეიტინგო ქულა;

● ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მიღების პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადგან დაშვების წინაპირობაში აღნიშნულია დიპლომირებული მედიკოსის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების ან მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაცია, ჩნდება შეკითხვა, რატომ ვერ უპასუხებს დიპლომირებული სტომატოლოგის, ფარმაციის ბაკალავრის და საექთნო საქმის კვალიფიკაცია შერჩევის კრიტერიუმებს, პროგრამის

შინაარსს და შესაბამისად პროგრამით განსაზღვრულ შედეგს.

ინტერვიუს დროს აღნიშნულ კითხვაზე პასუხი იყო, რომ შესაძლებელია იქნეს გათვალისწინებული.

წინაპირობებთან მიმართებაში რჩევის სახით, სასურველია გაფართოებულ იქნეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების არე ჯანდაცვითი მიმართულების კვალიფიკაციების მქონე კურსდამთავრებულებისათვის (დიპლომირებული სტომატოლოგი, ფარმაციისა და საექთნო საქმის ბაკალავრის კვალიფიკაციების მქონე პირები)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - სამაგისტრო პროგრამა;
  - სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა;
  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.iliauni.edu.ge;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გაფართოებულ იქნეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების არე ჯანდაცვითი მიმართულების კვალიფიკაციების მქონე კურსდამთავრებულებისათვის (მაგალითად, დიპლომირებული სტომატოლოგი, ფარმაცის ბაკალავრი, საექთნო საქმის ბაკალავრი)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და ინტერვიუების შედეგად ირკვევა, პროგრამამ შემუშავების პროცესში გაიარა როგორც შიდა, ისე გარე შეფასებების ეტაპები, რის შედეგადაც სტრუქტურამ და შინაარსმა მიიღო საბოლოო სახე.

პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი), მათ შორის სავალდებულო კურსები - 78 კრედიტი, სამუშაო პრაქტიკა - 6 კრედიტი, კრედიტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი - 24 კრედიტი, სულ 108 კრედიტი, არჩევითი კურსები – 12, რომელიც ირჩევა 15 კრედიტიდან პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენით კომისიის წინაშე და მისი საჯარო დაცვით.

პროგრამა ითვალისწინებს რა „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების ან მენეჯმენტის სფეროებში“ მიღებული კვალიფიკაციის პირთა მიღებას, პროგრამის შედეგები მოითხოვს მინიმუმ აპლიკანტი ფლობდეს სამედიცინო ტერმინოლოგიისა და ადამიანის ორგანოთა და სისტემების პათოლოგების შესახებ გარკვეული ცოდნას, რათა შეეძლოს სწორი მონაცემების მოპოვება, მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების, სერვისების დაგეგმვა

დაავადებების წარმოშობისა და გავრცელების სპეციფიკიდან გამომდინარე.

არებული პროგრამა ფორმირებულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს ჯანდაცვის მიმართულების ქვეშ და მისი დასრულება მაგისტრანტს ანიჭებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის კვალიფიკაციას. ლოგიკურად, მიღების წინაპირობით დარგობრივი/საბაზო ცოდნის ზეპირი გამოცდით უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის 7 სფეროს (გარემოს მედიცინა, სამედიცინო სტატისტიკა (ბიოსტატისტიკა), ეპიდემიოლოგია, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის პოლიტიკა; ეკონომიკა; ორგანიზაციული თეორია, ლიდერობა და მართვა, ეთიკა, მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური, ეკონომიკური დეტერმინანტები) მიხედვით (საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო სწავლების მოთხოვნები) ცოდნის დადასტურება.

არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტისთვის დარგობრივი /საბაზო ცოდნის დადასტურება გამოცდის ზეპირი ფორმატით, რომელსაც არ აქვს მითითებული კომპეტენციის სფეროს ძირითადი თემატიკები ნაკლებად სარწმუნოა. პროგრამაზე მიღების წინაპირობის დოკუმენტში მოთხოვნილია სამოტივაციო წერილი, რომელიც აპლიკანტის გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს იმის შესახებ, თუ რატომ უნდა ისწავლოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე. მესამე შეფასებად მოწოდებულია რაოდენობრივი და სიმბოლურ მსჯელობაში გამოცდა ან ექვივალენტი გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატის ქონა. აღნიშნული შეფასებები არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის საკმარისი არ არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასაძლევად. არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკატებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში სათანადო პოზიციებზე და სათანადო ხანგრძლივობით მუშაობის გამოცდილება, დაავადებისა და ჯანმრთელობის ფენომენის გაგებისთვის სამედიცინო ტერმინოლოგიის, ადამიანის სხეულის ფუნქციისა და პათოლოგიების/დაავადებების, ეპიდემიოლოგიის შესახებ ელემენტარული ცოდნა. საერთაშორისო უნივერსიტეტების საზოგადოებრივ ჯანდაცვის სამაგისტრო სხვადასხვა პროგრამებზე მისაღები მოთხოვნების მრავალფეროვნება, მრავალსახეობა არსებობს, მაგალითისთვის შესაძლებელია ნახულ იქნეს უნივრსიტეტების -
Master Public Health at UiT the Arctic University of Norway
/https://en.uit.no/education/program/271255/public_health_-_master / - ,

Master of Public Health (MPH) programme from the University of Liverpool - / https://www.searchmba.com/business-school/the-university-of-liverpool/master-of-public-health-mph-100998 / ,

MPH Master of Public Health the Universiy Manchester - / ;https://www.manchester.ac.uk/study/masters/courses/list/08044/mph-master-of-public-health-global-health/entry-requirements/#course-profile /

Master of Public Health the University Melbourne - https://study.unimelb.edu.au/find/courses/graduate/master-of-public-health/entry-requirements/

Master of Public Health the University Glasgow - /https://www.gla.ac.uk/postgraduate/taught/publichealth/#tab=entry,englishlanguagerequirements/

Master of Public Health the University of Washington- https://globalhealth.washington.edu/education-training/master-public-health და სხვა

პროგრამებზე მიღების წინაპირობები. არადარგობრივი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში თხოვენ ცოდნისა და უნარების სხვადასხვა ფორმით დადასტურებას.

ჯანდაცვითი მიმართულების ქვეშ არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამები მოიაზრებს რა სამედიცინო/ჯანდაცვითი პრაქტიკის ინტეგრირებას საზოგადოებრივ ჯანმთელობაში წინაპირობად მოითხოვენ: პირველი - ან მხოლოდ წინა საფეხურის მქონე განათლების კვალიფიკაციას ჯანდაცვითი მიმართულებით სხვადასხვა მოთხოვნებთან ერთად, ან მეორე, რიგი სამაგისტრო პროგრამა უშვებს არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებს კონკრეტული პირობების მოთხოვნით (მაგალითად სწავლების წინა საფეხურზე .ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის მიმართულებით დაგროვილ კრედიტებს /მაგალითად ნორვეგიის არქტიკის/, ტრომსოს უნივერსიტეტი 80 ECTS და სხვა), დარგობრივი მიმართულებით კვლევითი საქმიანობის, ასევე ჯანდაცვაში პროფილური დასაქმების არსებობას მინიმალური წლების მითითებით და სხვა. უნიფიცირებული წინაპირობები არ არსებობს, არსებობს კონკრეტულ პროგრამის დაძლევასთან მისადაგებული მოთხოვნები.

დაწესებულებიდან /ილიაუნი/ არგუმენტირებული პასუხიდან წინაპირობების ფორმირებაში ანალოგიის სახით მოწოდებულია ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა (Master of Public Health (MPH) – Johns Hopkins

Bloomberg School of Public Health / https://publichealth.jhu.edu/academics/mph/requirements)
მიღების სპეციფიკური წინაპირობებით: MD-ის კვალიფიკაცია, ან ნებისმიერი სხვა არაჯანდაცვითი კვალიფიკაცია, საერთო მოხოვნებით -პრიორიტეტულია ჯანდაცვაში სრული დატვირთვით მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება, რელევანტურია ასევე კვლევით ლაბორატორიებსა ან ჯანმრთელობის პოლიტიკური მიმართულებით გარკვეული სამუშაოების წარმოების გამოცდილება. ასევე მოითხოვს დასრულებულ ერთ კურსს (მაგ, კალკულუსი, ალგებრა ან სტატისტიკა), ერთ შესავალ კურსს ზოგად ბიოლოგიაში, ერთ კურსს ჯანმრთელობასთან ასოცირებულ მეცნიერებებში (მაგ. მიკრობიოლოგია, ნუტრიცია, ან ანატომია -ფიზიოლოგია) ან ბიოლოგიას შემდგომ დონეზე.
ზემოაღნიშნულიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობების უნიფიცირებული ჩართო-სქემა მ.შ. არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებთან დაკავშირებით. საერთო არის ის,რომ გამომდინარე პროგრამის შედეგებიდან მოითხოვება დარგობრივი გარკვეული ცოდნისა და უნარების დადასტურება დარგში სხვადასხვა პოზიციებსა და ხანგრძლივობით მუშაობის გამოცდილების სახით. აღსანიშნავია, ისიც რომ არსებობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამების N რაოდენობა, რომელიც განვითარებულია სხვადასხვა პროფილით, ანიჭებს ორმაგ კვალიფიკაციას (MD/MPH, MPH/MBA, MPH/LAW , MPH და სხვა) და არის მეტად ინტერსექტორული დატვირთვის მქონე. ამიტომ პროგრამის მოთხოვნების ნაწილში მიღების პირობებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მეტი დეტალები.
რეზიუმეს სახით, ჯანდაცვითი მიმართულების ქვეშ არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამები, მოიაზრებს რა სამედიცინო/ჯანდაცვითი პრაქტიკის ინტეგრირებას საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში, წინაპირობად მოითხოვენ: ან წინა საფეხურის მქონე განათლების კვალიფიკაციას ჯანდაცვითი მიმართულებით სხვა დამატებით პირობებთან ერთად, ან რიგი სამაგისტრო პროგრამა უშვებს არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებს კონკრეტული პირობების მოთხოვნით (მაგ.:სწავლების წინა საფეხურზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვისთვის რელევანტური საგნებით დაგროვილ კრედიტებს და სხვა), დარგობრივი მიმართულებით რიგ შემთხვევაში კვლევითი საქმიანობის, ასევე ჯანდაცვაში პროფილური დასაქმების არსებობას მინიმალური წლების მითითებით და სხვა. უნიფიცირებული წინაპირობები არ არსებობს, არსებობს კონკრეტული პროგრამის დაძლევასთან მისადაგებული მოთხოვნები. წარმოდგენილ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაში ცხადად არ ჩანს მიღების მოთხოვნის დეტალური ინდიკატორები/კრიტერიუმები, რომელიც გამჭირვალეა კონკურსანტების შეფასებასთან დაკავშირებით. მაგალითად „აკადემიური და/ან პროფესიული მიღწევები"- კონკრეტულად რა მოითხოვება ამ წინაპირობაში და როგორ იზომება, ასევე არ ჩანს საზოგადოებრივი ჯანდაცვითი კომპეტენციების სფეროების მიხედვით რომელი ძირითადი მიმართულებების ცოდნა იქნება მოთხოვნილი არსებულ პროგრამაზე შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებით, ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობა წარმოადგენს ინტერსექტორული დარგს, შესაბამისად მნიშვნელოვანია პროგრამის წიანპირობებში არსებობდეს განსაზღვრული ორიენტირები დარგობრივ ცოდნასთან მიმართებაში.

შესაბამისად, ექსპერთა ჯგუფი თვლის, რომ მოწოდებულ პროგრამაზე მიღების წინაპირობებში:

ა) პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულ იქნეს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე;

ბ) გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო გამოცდილება და არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტებისთვის მოთხოვნილი იქნეს კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ცოდნის დადასტურება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შინაარსის მქონე სწავლებების (კრედიტები ან კურსების მოცულობა), ასევე დარგობრვი უნარების დადასტურების (სამუშაო გამოცდილება, ან კვლევითი საქმიანობა ან სხვა) სახით.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია:

ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა" შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, სასწავლო, პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია და უზრუნველყოფს ჯანდაცვითი კვალიფიკაციის კურსდამთავრებულებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არაჯანდაცვითი კვალიფიკაციისათვის მქონე კურსდამავრებულებისთვის კორექტირებულ უნდა იქნეს მიღების წინაპირობები წარმოდგენილი სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge
- უცხოელი პროფესორის მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

/2.2/ ა) პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულ იქნეს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე;

ბ) გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო გამოცდილება და არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტებისთვის მოთხოვნილი იქნეს კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ცოდნის დადასტურება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებით, განსაზღვრული მოცულობით (კრედიტები) დასრულებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შინაარსის კურსები, ასევე დარგობრვი უნარების დადასტურება სამუშაო გამოცდილების, ან კვლევითი საქმიანობის ან სხვა სახით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი -

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები წარმოდგენილია სასწავლო კურსების შესაბამისი სილაბუსების და სამაგისტრო ნაშრომის (24 კრედიტი) შემთხვევაში კონცეფციის სახით. სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი კურსების სახით, მათ შორის სასწავლო კურსების მოცულობა განსხვავებულია, თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების ადეკვატურობასა და ეფექტურობაზე (შინაარსი, დატვირთვა, მოცულობა, შესაფების სისტემა) უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად ატარებს სტუდენტების გამოკითხვებს.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; თუმცა,

- კურსების უმრავლესობაში სწავლის შედეგები გაწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით, ისე რომ არ არის გამიჯნული სამი კომპეტენცია; მაგალითად გლობალური ჯანმრთელობა, პარტნიორობა ,,. ლიდერობა და კომუნიკაცია, ჯანდაცვის პოლიტიკის ეკონომიკური ანალიზი, ჯანდაცვის დაფინანსება და ეკონომიკა,

პარტნიორობა, თანამშრომლობა და ადვოკატირება და სხვა.

კომპონენტებად წარმოდგენა იძლევა საშუალებას, ყურადღება გამახვილდეს სწავლის შედეგების თითოეულ კომპონენეტზე და არ მოხდეს ტექნიკური ჩარღვევა. მაგალითად, საგნებში „გლობალური ჯანდაცვა“ , „მოსახლეობის ჯანმრთელობა და მასზე გარემოს მატერიალური - ფიზიკური, რადიოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური - ზემოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები“ გამოკვეთილად არ ჩანს ცოდნის ელემენტები და აქცენტირებულია დანარჩენზე, მაშინ როდესაც ცოდნა საგნების მიზნებში ცალსახად ჩანს. შესაბამისად, სასურველია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის, სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს 3 კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) სახით.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და თავის მხრივ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურსების შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals დასხვა) ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები
  - სწავლის შედეგების რუკა
  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge
  - სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტი კურსების შეფასებისთვის

რეკომენდაციები:წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები (3 კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობისობასთან მიმართებაში;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს მაგისტრანტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტებისა და ინიციატივების განხორციელებაში.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული/კვლევითი უნარ-ჩვევების და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დარგში პრაქტიკული მუშაობისთვის, ასევე სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად.
სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა ეტაპობრივი პროცესია, რომელიც სამაგიტრო ნაშრომის კონცეფციის თანახმად, მოიცავს: ხელმძღვანელის შერჩევას და სამაგისტრო კვლევის

განსაზღვრას - კვლევის მიზნის და საკვლევი კითხვების ჩამოყალიბებას; სამაგისტრო კვლევის დაგეგმვას - მეთოდოლოგიის და საჭირო ლიტერატურის სწორ შერჩევას და გასატარებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის შემუშავებას, სამაგისტრო კვლევის განხორციელებას; სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და წარდგენას; სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებას; სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს თავად ირჩევს.
სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცეში ჩართული უნდა იყოს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ორიენტაციას დასაქმების ბაზრის საჭიროებებზე.
სტუდენტები ჩაერთვებიან, როგორც აკადემიური პერსონალის მიმდინარე კვლევებში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციის (მათ შორის, პრაქტიკის გავლის ადგილის) კვლევით საქმიანობაში.
კვლევისა და პრაქტიკის მხარდაჭერის მიზნით გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები 20 ზე მეტ პარტნიორი ორგანიზაციებთან:
ხელშეკრულებაში მითითებული არ არის სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკების მიზნები და ხანგრძლივობა, მაგრამ პრაქტიკისა და კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლოა სამუშაოების წარმოება ადგილზე სრული დროით დაკავების გარეშე, მაგალითად მონაცემების აღება-ანალიზი, მიუხედავად ამისა, თუნდაც დანართის სახით უნდა იყოს ხელშეკრულებაში განსაზღვრული პრაქტიკანტების საორიენტაციო რაოდენობა და მიმართულება.

- სსიპ. ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი'';
- ფონდი გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი;
- აიპ საერთაშორისო ფონდი „კურაციო“;
- შპს ,, პინეო სამედიცინო ეკოსისტემა'';
- ჯანმრთელობის დაცვის და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი;
- ინტერსექტორული პარტნიორობისა და სოციალური ინოვაციების ცენტრი";
- სს ,,კურაციო'';
- შპს მედიქლაბჯორჯია;
- შპს ნეოგენი;
- შპს ნეოლაბი;

  და სხვა

ცენტრის მიერ განსაზღვრული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, „...ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას“ გასათვალისწინებელია, რომ პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის მიუხედავად, ამ დაწესებულებათა უმრავლესობა თანამშრომლობს არა ერთ უმაღლეს სასწავლებელთან როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის (მაგალითად, დკსჯეც-ი წარმოადგენს თსუ-ის, თსსუ-ის, ილიას და სხვა

საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო ბაზას), ასევე, დიპლომირებული მედიკოსის და სარეზიდენტო პროგრამების განხორციელების მიმართულებით, რაც, დაწესებულებათა შეზღუდული რესურსიდან გამომდინარე პრაქტიკის სათანადო პირობებში წარმართვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანს ხდის მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენას. მემორანდუმების უმრავლესობაში თანამშრომლობის მიზანი (მაგალითად, დკსჯეც-თან, ფონდ კურაციოსთან, ნეოლაბთან და სხვა გაფორმებული მემორანდუმი) ზოგადია. ხელშეკრულებებში ან მემორანდუმებში, თუ მის საფუძველზე არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით კონკრეტიზაცია აუცილებელია. შესაბამისად, რეკომედირებულია სასწავლო /კვლევით ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სათანადო ფორმით იყოს წარმოდგენილი სავარაუდო ინფორმაცია კვლევითი თუ პრაქტიკული კურსების/მიზნების და სტუდენტების/მკვლევარების რაოდენობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით o სამაგისტრო პროგრამა o ხელშეკრულებები/მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან o უნივერსიტეტის ვებგვერდი http://iliauni.edu.ge o „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო“
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რეკომედირებულია სასწავლო /კვლევით ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სათანადო ფორმით იყოს წარმოდგენილი სავარაუდო ინფორმაცია კონკრეტულ პერიოდზე კვლევითი თუ პრაქტიკული კურსების/მიზნების და სტუდენტების/მკვლევარების რაოდენობის შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

  სტუდენტების შესაძლებლობა ჩაერთონ პარტნიორი ორგანიზაციის (მათ შორის, პრაქტიკის გავლის ადგილის) კვლევით საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად პროგრამაში გამოყენებულია სწავლა/სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის აღწერილობის თანახმად, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, ანალიზი და სინთეზი, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, დისკუსია/დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, სუპერვიზია, რეფლექსია, თუმცა ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიტუაციის ანალიზი, დაკვირვება,

რეპორტინგი არ არის ასახული პროგრამაში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლების მეთოდი იმ ფორმით და შინაარსით, რომელითაც გამოიყენება საგნებში (გამოყენებითი ეპიდემიოლოგია, გლობალური ჯანმრთელობა, ლიდერობა და კომუნიკაცია და სხვა) ატარებს ქეისის გარჩევისა და ანალიზის ფორმას (რაზეც შეფასების სისტემა და მისი ორგანიზების ფორმატიც მიანიშნებს) ვიდრე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების კლასიკური მოდელი. გამომდინარე, აუცილებელია დაზუსტდეს სილაბუსებში რიგი მეთოდების (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) მიზნობრიობა მეთოდის მოწოდებულ გამოყენების ფორმასა და შინაარსთან. აღნიშნული საკითხი გავლილი იქნა ინტერვიუების დროს და ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებაში აკადემიური პერსონალი გულისხმობს შემთხვევის/ქეისების გარჩევას, ანალიზს. ამავე დროს, აღნიშნული კურსების განმახორციელებელი პირების დოკუმენტაციის (CV) ანალიზი არ მიუთითებს PBL მეთოდის ასათვისებლად პერსონალის გადამზადებას უნივერსიტეტის არსებულ განვითარების ცენტრში ან ალტერნატიულ გადამზადების ტრენინგ-პროგრამებზე. პროგრამაში გამოყენებული მეთოდების ჩამონათვალი არასრულია სილაბუსებში გამოყენებულ მეთოდებთან მიმართებაში და მოითხოვს დაკორექტირებას. შესაბამისად, რეკომენდირებულია სილაბუსებში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის PBL დაზუსტება და გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისგან. ამასთანავე, სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები, სრულად აისახოს პროგრამის აღწერილობით ნაწილში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), სადაც პერსონალს თავაზობენ ტრენინგ-მოდულებს, მათ შორის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით o საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რეკომენდირებულია სილაბუსებში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის PBL დაზუსტება და გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისგან. ამასთანავე, სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები, სრულად აისახოს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების სისტემა, მათ შორის კომპონენტები და მეთოდები დეტალურად განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით. სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია შეფასების წესი, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები.

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს.

ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) 91 - 100 ფრიადი

(B) 81 – 90 ძალიან კარგი

(C) 71 – 80 კარგი

(D) 61 – 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 – 60 საკმარისი

(FX) 41 – 50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა დგინდება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა რიგ შემთხვევებში შეფასების რუბრიკები მოითხოვს დაზუსტებას, მაგალითისთვის:

- **თეორიულ სემინარებზე აქტივობა - 20 ქულა,** კრიტერიუმია:

  20 ქულა - სტუდენტი ყოველთვის მომზადებულია სემინარისთვის, სრულად აქვს ათვისებული შესაბამისი მასალა, მუდმივად ადეკვატურად პასუხობს შეკითხვებს და აქტიურადაა ჩართული ჯგუფურ დისკუსიაში.

  16-19 ქულა - სტუდენტი უმეტესად მომზადებულია სემინარისთვის, ათვისებული აქვს შესაბამისი მასალა, უმეტესად ადეკვატურად პასუხობს შეკითხვებს და აქტიურადაა ჩართული ჯგუფურ დისკუსიაში.

  11-15 ქულა - სტუდენტი ზოგჯერ არ არის მომზადებული სემინარისთვის, ათვისებული აქვს მასალის ნაწილი, ძირითადათ ადეკვატურად პასუხობს შეკითხვებს და ერთვება ჯგუფურ დისკუსიებში.

  6-10 ქულა - სტუდენტი უმეტესად მოუმზადებელია სემიარისთვის, იშვიათად აქვს ათვისებული მასალა, მისი პასუხები იშვიათად არის ადეკვატური და იშვიათად

ერთვება ჯგუფურ დისკუსიებში.

3-5 ქულა - სტუდენტი უმეტესად მოუმზადებელია ლექციისთვის, ძალიან იშვიათად აქვს წაკითხული მასალა, მისი პასუხები ძირითადათ მცდარია და იშვიათად ერთვება ჯგუფურ დისკუსიებში.

0 ქულა - სტუდენტი ყოველთვის მოუმზადებელია, არ აქვს წაკითხული მასალა, დისკუსიებში არასოდეს იღებს მონაწილეობას.

საგანში ,,ჯანმრთელობის დაცვა, ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია", დასკვნითი გამოცდის შეფასება მოწოდებულია 20 ქულით, მინიმალური ბარიერი 11 ქულა. დასკვნითი ნაშრომის/წერითი ნაშრომის/ შეფასება მოწოდებული კრიტერიუმების მიხედვით 20 ქულაზე მეტია, რაც მოითხოვს დაკორექტირებას.

,,ადამიანური რესურსები ჯანდაცვაში" შეფასებებში განსაზღვრულია მაქსიმალური ქულები, მაგრამ არაა დიფერენცირებული რა შემთხვევაში არ ხდება მაქსიმალური ქულით შეფასება, ასევე მოწოდებულია შეფასებით ქულათა ინტერვალები, რაც ასევე არ არის რუბრიკების მიხედვით განსაზრვრული როდის რა ქულის მინიჭება ხდება (ანალოგიურია პარტნიორობა, თანამშრომლობა და ადვოკატირება, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები და სხვა).

საგანში ,,ჯანმრთელობის სისტემები და პოლიტიკა" დასკვნითი შეფასება არის ორ კომპონენტიანი პროექტის წერა და პრეზენტაცია, სულ 30 ქულა, არ წერია თითოეულ კომპონენტში რა არის მინიმალური გადალახვის ზღვარი, გარდა ამისა შეფასებებში მოწოდებულია მხოლოდ მაქსიმალური ქულები და მაქსიმალური ქულის დიფერენციაცია არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად უცნობია როგორ გადაილახება მინიმალური ბარიერი. გარდა ამისა, თუ დასკვნითი გამოცდის ერთი კომპონენტი მაგალითად „პრეზენტაცია" არ იქნა ჩაბარებული, ხოლო მეორე კომპონენტში შეფასებამ გადააჭარბა 15 ქულას, გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, მაშინ როდესაც სილაბუსში პრეზენტციით მისაღწევი ტრანსფერული უნარი: კომპაქტურად გადმოსცეს ჩატარებული ანალიზის შედეგები, ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს დასკვნები და წარმოადგინოს აუდიტორიის წინაშე"- ვერ იქნება მიღწეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

რეკომენდებულია ორ კომპონენტიან დასკვნითი გამოცდის დროს მიეთითოს თითოეული კომპონენტის გადალახვის მინიმალური ბარიერი, შეფასებებში მოხდეს მაქსიმალური ქულების დიფერენციაცია სათანადო კრიტერიუმების მიხედვით.

პრაქტიკის შედეგად მაგისტრანტის მიერ დაგროვილი პრაქტიკული უნარების შეფასების დროს აუცილებელია შედარებით ზუსტი და გაზომვადი კრიტერიუმის შემუშავება, ვიდრე არსებული

- *პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია* ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

10 ქულა - შესრულებული ამოცან(ებ)ის სწორი ანალიზი;

10 ქულა - სამუშაო პროცესის და საკომუნიკაციო სქემის ეფექტურობის შეფასება;

შესაბამისად სტუდენტისთვისაც მაქსიმალურად გამჭვირვალე იქნება შეფასება და არ წარმოიქმნება პრობლემები და შეკითხვები იმზე, თუ რა იგულისხმება „სრულიად შეესაბამება“, „მეტწილად აკმაყოფილებს“, „ნაწილობრივ აკმაყოფილებს“, „მეტწილად არ აკმაყოფილებს“ „უმეტესად არ აკმაყოფილებს“ და „სრულიად არ აკმაყოფილებს“ შეფასებების გასამიჯნად.

შეფასების წესი, რომელიც მოიცავს ქულების დიაპაზონებს 0 დან 10 ქულამდე/ 0 დან 20 ქულამდე მეტწილად უნიფიცირებულია, იგი ვერ იქნება საკმარისად მოქნილი, შესაბამისად ნაკლებად სარწმუნო და საიმედოა, რაც სტუდენტს არ აძლევს დეტალურ უკუკავშირს.

სამაგისტრო პროგრამის შეფასების სისტემა იძლევა მაგისტრანტის მიღწევებისა და სწავლის შედეგების შეფასების საშუალებას და შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის თანახმად, სადაც განსაზღვრულია ნაშრომის დაცვისა და შეფასების 3 კომპონენტი:

- ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა,
- რეცენზენტის შეფასება – 50 ქულა,
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 ქულა,

ხელმძღვანელის შეფასება, ემყარება რა სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში წარდგენილ პროგრესის ანგარიშს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას ეგზავნება დამამთავრებელი სემესტრის სალექციო-სასემინარო პერიოდის დასრულებამდე ორი კვირით ადრე. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ამ თვალსაზრისით არ არის ერთჯერადი, ანუ არ ხდება ერთჯერადად.

სამაგისტრო ნაშრომის შუალედური შეფასებები სრულდება ნაშრომის შესრულების პერიოდში და მოიცავს პირველ ეტაპზე ხელმძღვანელის შეფასებას სემესტრის სალექციო-

სასემინარო პერიოდის დასრულებამდე ორი კვირით ადრე, რომელიც ემყარება სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში წარდგენილ პროგრესის ანგარიშს და ფასდება 20 ქულით, მომდევნო ეტაპზე - ნაშრომის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში სრულდება რეცენზენტის შეფასება - 50 ქულით და საბოლოო ეტაპზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, როდესაც დაცვის კომისია აფასებს წარდგენილ ნაშრომსა და პრეზენტაციას - 30 ქულით, უკანასკნელში ხელმძღვანელი და რეცენზენტი არ იღებენ მონაწილეობას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი მოითხოვს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება), რომლის თანახმად, *აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შეფასდეს ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით!*

ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაციით ერთჯერადად წარმოებს შეფასება, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ცალსახად არ ჩანს, არ იკითხება.

შესაბამისად, ზეპირი განმარტება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს დოკუმენტაციასთან.

სამაგისტრო ნაშრომები იტვირთება პროგრამაში „Moodle" და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა ,,Turnitin"-ით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - სამაგისტრო პროგრამა; სილაბუსები
  - სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რეკომენდირებულია სილაბუსებში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის PBL დაზუსტება და გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისგან. ამასთანავე, სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები, სრულად აისახოს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.
- რეკომენდებულია ორ კომპონენტიანი დასკვნითი გამოცდის დროს მიეთითოს თითოეული კომპონენტის გადალახვის მინიმალური ბარიერი, შეფასებებში მოხდეს მაქსიმალური ქულების დიფერენციაცია სათანადო კრიტერიუმების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია ცხადად წარმოდგეს/დაზუსტდეს შეფასების მრავალშეფასებიან რუბრიკებში კრიტერიუმები, რათა ნათელი გახდეს მაგისტრისთვის ქულების დაგროვების მექანიზმი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინისფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც დაინტერესებული პირები იღებენ დეტალურ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ, ასევე ინფორმაციას იღებენ ლექტორებისა და სასწლო ადმინისტრაციის თანამშომლებიდან სხვადასხვა საკომუნიკაცო არხებით (პროგრამა „არუსი“, პირდაპირი კომუნიკაცია, მიზნობრივი შეხვედრები) , რომელის შესახებ ინფორმაცია მოწოდებულ იქნა სტუდენტების მიერ ვიზიტის დროს. სასწავლო პროფილის განსაზღვრისა და შემდგომი კონსულტირების ციკლისა და შესაძლებლობების სხვადასხვა საშუალებებს იძლევა უნივრსიტეტი, კერძოდ: ახალჩარიცხულ სტუდენტებს უფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა ასახული სწავლის პირობები და მხარეთა ვალდებულებები. ეცნობათ ხელშეკრულების პირობები. სტუდენტის ჩართვა შიდასაუნივერსიტეტო ელექტრონულ სისტემაში ,,არგუსი“ ხდება პირველივე დღეებიდან და სისტემაში განთავსებულია პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტი მათი სტატუსის მიხედვით, ასევე სტუდენტებს საშუალება აქვთ, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შეხვდნენპროგრამის/კურსის ხელმძღვანელს ინდივიდუალურად და/ან მცირე ჯგუფში და მიიღონ კონსულტაცია. შეხვედრის შესაძლო ადგილისა და დროის შესახებ სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულები. აღნიშნული საკითხი მითითებულია სილაბუსებში წინასწარი შეთახმებით საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებობების შესახებ. სტუდნეტები და კურსდამთავრებულებიც ცალსახად აღნიშნავენ, რომ მათ ნამდვილად აქვთ შესაძლებლობა შეხვედრის როგორც აკადემიურ ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან, ვერ იხსენებენ შემთხვევას,

რომელიც უგულვებელყოფთა მათ თხოვნას/საჭიროებას შეხვედრაზე. ელექტრონული სისტემა ,,არგუსი" არეგისტრირებს სტუდენტის შეფასების მონაცემებს სემესტრის განმავლობაში, რითიც ხდება მისი დროული ინფორმირება აკადემიური მიღწევების შესახებ, ასევე ღებულობს უკუკავშირს სულაბუსით განსაზღვრული აქტივობების შეფასების შესახებ. აქვთ დამატებითი საშუალებები, ისარგებლონ აკადემიური წერის ცენტრის მიერ შექმნილი ონლაინ რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე http://writingcentre.iliauni.edu.ge/. უნივერისტეტი მართავს დასაქმების ფორუმებს, აცნობ ვაკანსიებს რომელიც საინტერესოა სტუდენტებისთვის და იყენებენ აღნიშნულ შესალებლობას. სხვადასხვა საუნივერსიტეტო შიდა გარე მ.შ. საერთაშორისო აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ვებგვერდის, „არგუსის", ელ-ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით; რომლის გამოყენების შესახებ ცალსახად იყო მითითებული როგორც მიმდინარე, ასევე კუკრსდამთავრებულთა პასუხებში
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით o პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები - იხ. საქაღალდე #1 o აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებ-გვერდი: http://writingcentre.iliauni.edu.ge/ o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge o ვიზიტის ინტერვიუს შედეგები მიმდინარე და კურსდამთავრებულთა სესიებზე.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი ირჩევს ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელს (შესაძლებელია პარტნიორი ორგანიზაციიდან). პოტენციური ხელმძღვანელების ცოდნა და გამოცდილება დადასტურებულია მათი პირადი საქმეებით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს: პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში/დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება, დადასტურებული საერთაშორისო პუბლიკაციებით რეფერირებად ჟურნალებში. შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია რეფერირებად ჟურნალებში შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაცია

ხელმძრვანელი აწარმოებს რეგულარული კონსულტაციებს, კონსულტაციების

სიხშირე დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემის სპეციფიკაზე, ის კონსულტირებას უწევს მაგისტრანტს კვლევის დიზაინში, და სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესს აქცევს ყურადღებას. ეხმარება მას სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში, ვალდებულია სტუდენტს უკუკავშირი კვლევის პროგრესის ანგარიშებთან და ნაშრომის სამუშაო ვერსიებთან დაკავშირებით; მაგიტრანტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ ხელმძღვანელების სრულ ჩართულობას პროცესში და მათ ხელშეწყობას შედეგების გამოქვეყნებას, შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში ორიენტაციის მიცემასა და ჩართულობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით o ვიზიტის ინტერვიუს შედეგები o პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები - იხ. საქაღალდე #3 o სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის 2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, თითოეული მათგანი აფილირებულია ილიას უნივერსიტეტთან, თითოეული მათგანი არის სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესში ჩართულია 5 მოწვეული პირი, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის არსებული თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან 9/5 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა საკმარისია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

